

თეატრი-მუზეუმი

სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი

ირმა დოლიძე

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მექანიზმებს შორის უმთავრესი ძეგლის აღდგენა-შენარჩუნებაა. საუკუნეებით დამკვიდრებულ ამ პრაქტიკას ალტერნატივა თითქმის არ გააჩნია. ასეთია არქიტექტურული ძეგლების, მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, კონსერვაცია. საიტებად, მუზეუმებად ჩამოყალიბებული ეს კომპლექსები ფართოდ უღებს კარს საზოგადოებას. სპეციალისტები ბევრს ფიქრობენ იმაზე თუ როგორ გახადონ

სამუზეუმო სივრცეები უფრო საინტერესო, შემეცნებითი, ინტერაქტიული. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, დამთვალეირებლის აქტიური თანამონაწილეობის და, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო მზარდი ინტეგრაციის გზით. ეს დროით ნაკარნახევი ლოგიკური პროცესი მკაფიოდ გამოიხატა მუზეუმების მრავალფეროვან ტიპოლოგიასა და არქიტექტურულ გადანწყვეტაში.

საქართველოს მრავალრიცხოვან მუზეუმებს შორის მრავლადაა ეთ-

ნოგრაფიული, ისტორიული, სახვითი ხელოვნების, მემორიალური მუზეუმები; არქიტექტურული, არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალები. მათი ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსთანაა დაკავშირებული ან თავად წარმოადგენს ძეგლს ან ადაპტირებულია სამუზეუმო სივრცედ (საერო ფუნქციის შენობებს შორის უმთავრესად ეს საცხოვრებელ და საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეხება). თუმცა არსებობს გამონაკლისიც, რომელიც ტიპოლოგიურად არც ერთ ზევით



თეატრი სოფ. ქვემო მაჩხაანში

მოყვანილ კატეგორიაში ხვდება და უკვე თავისათავად წარმოადგენს უალრესად საინტერესო სამუზეუმო სივრცეს. კულტურული მემკვიდრეობის სწორედ ასეთ ნიმუშად გვესახება 1899 წელს სოფ. ქვემო მაჩხანში აგებული და ჩვენს დრომდე მოღწეული სათეატრო შენობა.

მატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად, ჩვენს ქვეყანას სანახაობითი კულტურის ძირძველ ტრადიციებზე დაფუძნებული მდიდარი თეატრალური წარსული აქვს – უძველესი ხალხური სანახაობებიდან ვიდრე ანტიკურ თეატრამდე და შუა საუკუნეების სასახლისკარის თეატრიდან XIX საუკუნის პროფესიულ თეატრამდე, რაც ნათლად ჩანს არა მარტო ისტორიულ წყაროებში, არქიტექტურულ პროექტებსა თუ საარქივო მასალებში, არამედ სათეატრო არქიტექტურის დღემდე შემორჩენილ ნიმუშებში. ამ უწყვეტი ისტორიული პროცესის შედეგია თანამედროვე ქართული თეატრი და დღეს საქართველოში მოქმედი 50 პროფესიული სათეატრო დასი.

რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს ერთ-ერთ სოფელში XIX საუკუნეში აგებული თეატრი. ამისთვის საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ პერიოდის თეატრისა და სათეატრო არქიტექტურის ისტორიას საქართველოში.

XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში აგებული სათეატრო შენობები საქართველოში უმთარესად დედაქალაქშია თავმოყრილი. არქიტექტურულად ეს დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობებია პერსპექტიული სცენა-კოლოფით და იარუსული დარბაზით (ევროპაში შექმნილი სათეატრო არქიტექტურის ეს კომპოზიცია დღემდე უცვლელია). მისი ფორმირება მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და დასრულდა გასული საუკუნის დასაწყისში. პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობები საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან შენდება. თავიდანვე სათეატრო შენობებზე დაპროექტებულ და აგებულ თეატრებთან ერთად გვხვდება სათეატრო სივრცეებზე გადაკეთებული შენობებიც. მათი ნაწილი არ შემორჩენილა. ასეთია: **მანუჩის**



სოფ. ქვემო მაჩხანის თეატრის ინტერიერი

თეატრი, 1845 წ. (არქიტექტორ ი. ივანოვის პროექტით გადაკეთებულ თბილისის სამხედრო მანუჩის შენობაში 1845 წელს მოეწყო დროებითი თეატრი 340 ადგილზე. ნახევარწრიული მაყურებელთა დარბაზით, ერთდონიანი იარუსით და გვერდითი ლოჟებით), **თბილისის თეატრი ე.წ. ქარვასლის თეატრი, 1847-1851 წწ.** არქიტექტორი ჯ. სკუდიერი („ერევანსკის“, დღ. თავისუფლების მოედანზე, 800 მაყურებელზე გათვლილი ორიარუსიანი, ნალისებრი ფორმის დარბაზით. პროფესიულ ქართულ თეატრთან ერთად აქ წარმოდგენებს მართავდა იტალიური ოპერა, რუსული თეატრი და საბალეტო დასი. ალ. დიუმა, რომელმაც თბილისის თეატრი 1858 წელს ნახა, წერს: „...სინდისის ქეჯნის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის თეატრის დარბაზი – ერთ-ერთი უმშვენიერესი დარბაზია, რომელიც მე მინახავს ჩემი ცხოვრების განმავლობაში. ...როგორც არქიტექტურის, ისე სხვა მორთულობის მხრივ, მაღლობა ღმერთს, თბილისის დარბაზს ველარაფერს უსურვებ“.1 თეატრი 1874 წელს დაინვა. შენობა უთეატროდ, მხოლოდ ქარვასლად აღადგინეს); **საზაფხულო თეატრი, 1870 წ.** (თბილისში, საინჟინრო უწყების ბაღში აიგო ხის თეატრი. თბილისის (ქარვასლის) თეატრის შემდეგ ეს მეორე, საგანგ-

ბოდ თეატრისთვის აგებული შენობაა. სკუდიერის თეატრის დაწვის შემდეგ ძირითადი დატვირთვა საზაფხულო თეატრზე გადმოვიდა. ზამთრისთვისაც რომ გამოსადეგი ყოფილიყო, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარეს (1872-1876 წწ. არქიტექტორი ა. ზალცმანი). საზაფხულო თეატრმა 1906 წლამდე იარსება); **სათავადაზნაურო ბანკის თეატრი, 1878 წ.** (ა. ფონ-სკოინის პროექტით თეატრად გადაკეთდა გ. არნრუნის ქარვასლის ნაწილი და მასში პირველი კერძო თეატრი გაიხსნა. ეს შენობა შეიძინა სათავადაზნაურო ბანკმა, რის გამოც მას სათავადაზნაურო ბანკის თეატრს, „საბანკო თეატრსაც“ უწოდებდნენ. ამპირის სტილში გადაწყვეტილი სათეატრო შენობა 1914 წელს მომხდარი ხანძრის დროს განადგურდა).2

ქართული პროფესიული თეატრის დახურვის (1856 წ.) შემდეგ XIX ს. 80-იანი წლების ბოლომდე სათეატრო ცხოვრება საქართველოში მინელებულია, თუმცა საუკუნის მიწურულისკენ ვითარება იცვლება და „არ არის ქალაქი, რომ გარკვეული თეატრალური ცხოვრება არ იყოს. წარმოდგენები იმართება ზესტაფონის, ბორჯომის, სილნაღის, ხონის, სენაკის და სხვა ქალაქებში“. ამ ტენდენციამ იხილ ცვლევებს, რომ XIX ს. 80-იან წლებში თეატრები შენდება ქუთაისში (დაინ-

1. А. Дюма, Кавказ, Тбилиси, Мерани, 1988 г, стр. 167.
2. ი. დოლიძე, სათეატრო არქიტექტურა საქართველოში, თბილისი., 2005 წ, გვ. 187-188.

ვა 1894 წ.), ბათუმში (1884 წელს აიგო ხის საოჯახო სათეატრო შენობა; 1888 წელს თეატრი ანანევის სახლში, 600 მაყურებელზე გათვლილი დარბაზით), 90-იან წლებში თეატრი გაიხსნა ოზურგეთში, 1900 წელს – ჭიათურაში. არც ერთ ამ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია.³

აქტიურად მიმდინარეობს სათეატრო ნაგებობების მშენებლობა თბილისში. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში აგებული თეატრებიდან რამდენიმე დღესაც მოქმედია. თუმცა ეს უკვე თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, არაერთგზის რეკონსტრუირებული სათეატრო შენობებია: **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი – ყოფილი კ. ზუბალაშვილის სახ. საქალაქო სახალხო სახლი, 1901-1909 წწ.** არქიტექტორი ს. კრიჩინსკი (კონკურსი გამოცხადდა 1901 წელს. | პრემია აშენების ნებართვით, მიეკუთვნა პეტერბურგელი არქიტექტორის ს. კრიჩინსკის პროექტს. მშენებ-

ლობა დაიწყო 1902 წელს, თბილისში „კირკისა“ და დიდი მთავრის ქუჩების კუთხეში (დღ. მარჯანიშვილის ქ. №8). 1907 წელს თეატრი უკვე დასრულებული იყო და ფუნქციონირებდა, თუმცა ოფიციალურად 1909 წელს გაიხსნა. 630 მაყურებელზე გათვლილი სწორკუთხა ფორმის მაყურებელთა დარბაზი შედგებოდა პარტერის სართულისა და ერთი იარუსისგან. სახალხო სახლი მოდერნის სტილის არქიტექტურას განასახიერებდა. მისი სასცენო ნაწილი დეკორატორ ა.ნოვაკის მიერ ამავე სტილში იყო გადაწყვეტილი. მართალია, შენობა ბევრჯერ გადაკეთდა (1910წ., 1930-იანი, 1960-იანი წწ.), მაგრამ მოდერნის სტილის ნიშნებს ის კვლავაც ინარჩუნებს). **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი – ყოფილი „არტისტული საზოგადოების“ თეატრი, 1898-1901 წწ.** არქიტექტორები: ა. შიშკევიჩი, კ. ტატიშევი (გოლოვინის, დღ. რუსთაველის გამზ. №17. 810 მაყურებელზე გათვლილი ნაღისებრი ფორმის სამიარუსიანი მაყურებელთა

დარბაზით და ღრმა სცენა-კოლოფით, ასევე მცირე საკონცერტო დარბაზით. თეატრს არაერთგზის ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. 1949 წელს მომხდარმა ხანძარმა იგი თითქმის სრულიად გაანადგურა. ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ კედლები. 1950 წელს განახლებული თეატრი გაიხსნა. სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა 1960-იან, 1980-იან წლებშიც და XXI საუკუნის დასაწყისშიც. რუსთაველის თეატრი XIX-XX საუკუნეების მიჯნის სათეატრო არქიტექტურის ტიპური ნიმუშია – ღრმა სცენა-კოლოფით, ევროპული იარუსული ტიპის მაყურებელთა დარბაზით, სფერული გადახურვითა და მდიდრულად მორთული დეკორატიული სამკაულით. გამორჩეულია მისი დარბაზის გაშლილი ნაღისებრი ფორმა, რომელიც საუკეთესოა ოპტიკური და აკუსტიკური თვალსაზრისით); **ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი – ყოფილი სახაზინო თეატრი, 1880-1896 წწ.** არქიტექტორი ვ. შრეტერი (გოლოვინის, დღ. რუსთაველის გამზ.



თეატრის მშენებლობის პროცესი

3. ვ. კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, I ტ., თბ., 2001 წ, გვ. 653-689, 694.



მაყურებელთა დარბაზის სკამები



სცენის ფარდა

№25. აიგო სათეატრო შენობის პროექტისთვის გამოცხადებულ კონკურსში (1876 წ.) გამარჯვებული პროექტის მიხედვით. გაიხსნა 1896 წელს. თეატრი გათვლილი იყო 1272 მაყურებელზე და დიდი თეატრების კატეგორიას განეკუთვნებოდა. სექტორული ტიპის მაყურებელთა დარბაზით, ლოჟების

სამიარუსიანი სტრუქტურით და ტრადიციული სფერული გადახურვის ნაცვლად ბრტყელი ჭერით. 1973 წელს გაჩენილი ხანძრის გამო ოპერის თეატრი თითქმის მთლიანად განადგურდა. გაიხსნა 1977 წელს, რეკონსტრუქციის შემდეგ.⁴ ამ ისტორიულ-არქიტექტურულ კონ-

ტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო მაჩხაანში თავდაპირველი სახით შემორჩენილი XIX საუკუნის თეატრი. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და დაფინანსებით აგებული აგურის ეს ორსართულიანი შენობა დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობაა, პერსპექტიული სცენა-კოლოფით და 300 მაყურებელზე გათვლილი სწორკუთხა იარუსული დარბაზით, შენობის თანადროული ავეჯით, იმდროინდელი სასცენო კონსტრუქციით, ლუმენებით, თეატრალური ფარდებით. ამიტომ ამ თეატრის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელოვნება სცილდება მხოლოდ ერთი სოფლის ან კუთხის ისტორიას და XIX საუკუნის საქართველოს კულტურული ცხოვრების კონტექსტში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. სწორედ ამ საფუძველზე გაჩნდა სოფ. ქვემო მაჩხაანში თეატრი-მუზეუმის შექმნის იდეაც. თეატრი, როგორც სამუზეუმო სივრცე – როგორც თავისი ეპოქის ამსახველ-გამომხატველი გარემო, როგორც თანამედროვე სპექტაკლების გამართვის და ძველი წარმოდგენების რეკონსტრუქციის ადგილი. მსგავსი მუზეუმი საქართველოში ჯერჯერობით არ გვაქვს.

თეატრი-მუზეუმის კონცეფცია თავის თავში მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კვლევას, რესტავრაციას და მისთვის თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნებას. 1899 წელს გახსნილ თეატრს, დაარსებიდან დღემდე, სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა: თეატრი, კლუბი, კინოთეატრი, II მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცთა თავშესაფარი. ამჟამად აქ განთავსებულია სოფლის კულტურის სახლი. ამიტომ მის სათეატრო შენობად ამოქმედებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი სპექტაკლების აღდგენით და ახალი, ექსპერიმენტული წარმოდგენებით, აქცია-პერფორმანსებით, იმდროინდელი და თანამედროვე სასცენო ტექნოლოგიების გამოყენებით, თეატრის ისტორიის ამსახველი მასალების ექსპონირებითა და ინტერპრეტაციით – გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის შე-

4. ი. დოლიძე, სათეატრო არქიტექტურა საქართველოში, თბილისი., 2005 წ, გვ. 189-192.

ნობას დღეს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტთა ყურადღება მასზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა – „კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი“ და „სამოქალაქო ინიციატივა“ გაამახვილეს, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო. მათი ძალისხმევით და „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „აქტიური ახალგაზრდობა – დაცული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში მოძიებულ იქნა და დამუშავდა მასალები თეატრისა და სოფლის შესახებ (<http://signagi.com.ge/>).

* * *

სოფ. ქვემო მაჩხაანი, სადაც 117 წლის წინ ადგილობრივთა შემონიშნულობით აიგო თეატრი, XIX საუკუნის ქიზიყის სავაჭრო ცენტრია განვითარებული საქალაქო ინფრასტრუქტურით: საავადმყოფოთი, სასწავლებლებით (სკოლა, ტექნიკუმი), სავაჭრო დუქნებით. 1895 წელს აქ დაარსდა სახალხო (სავაჭრო) დეპო, რომელიც პირველი იყო საქართველოში და კავკასიაში (გაზეთი „ივერია“: 1895 წლის №89, 1896 წლის №5, 1899 წლის №162). გარშემო სოფლებიდან ხალხი სწორედ ქვემო მაჩხაანში ჩამოდიოდა სავაჭროდ. სოფელში, მთავარი ქუჩის გასწვრივ დღესაც შემორჩენილია იმდროინდელი სავაჭრო-სახელოსნო დუქნები.

თეატრი სოფლის ცენტრში დგას. XIX ს. 90-იან წლებში მასთან ერთად, სკოლა, ამბულატორია და სხვა დაწესებულებებიც აშენდა. ქვემო მაჩხაანის თეატრის მონუმენტური ორსართულიანი შენობა აგურითაა ნაგები. სარკმელებითა და ჰორიზონტალური სარტყელებით დანაწევრებული სადა საგანგებოდ ხაზგასმული შესასვლელით და მის წინ ფართოდ გაშლილი კიბეებით. ფასადის ცენტრალური ნაწილი დასრულებულია აგურის თალოვანი დეკორატიული ფრონტონით, გვერდითი ნაწილები კი ლითონის მსუბუქი, აყურული პარაპეტით. შენობა შელესილია და ვარდისფრად არის შეღებილი.

სათეატრო შენობა დღეს არ არის დამოუკიდებელი არქიტექტურული ნაგებობა, იგი ინტეგრირებულია სოფლის სასკოლო შენობებთან, რომლებიც

მიშენებულია თეატრის უკან (1929 წ.) და სიგრძივ ღერძზე. ამის გამო, კომპლექსი ეკლექტურია, განსხვავებული სტილის შენობებით, რომელთაგან ფასადის მომცველი ნაწილი – კლასიკური სტილის ნაგებობაა, დანარჩენი ორი კი ტრადიციული აივნისანი საცხოვრებლის ტიპის (აგურისა და ხის).

სათეატრო შენობის ინტერიერი მოიცავს: ფოიეს, ორ მხარეს განლაგებული სათავსებით, სათეატრო დარბაზს, სცენას კულისებით (მხოლოდ ერთ მხარეს) და საორკესტრო ორმოთი. თავდაპირველად ვხვდებით ფოიეში, საიდანაც გასასვლელია გვერ-

დით სივრცეებში. აქედან შევდივართ სწორკუთხა ფორმის ერთიარუსიან მაყურებელთა დარბაზში, რომელსაც სამი შესასვლელი აქვს. სასცენო კოლოფსა და მაყურებელთა დარბაზს შორის ღრმა საორკესტრო ორმოა.

სათეატრო დარბაზი 300 მაყურებელზეა გათვლილი, პარტერში – 200, იარუსზე 100 ადგილით. დღეს არსებული მოდერნის სტილის ხის სკამები ნაგებობის თანადროულია. მათ თითქმის დაუზიანებლად მოაღწიეს ჩვენამდე. საორკესტრო ორმოს ორივე მხარეს ბენუარის ლოჟებია. გადაკეთებული ჩანს იარუსის სართული



სცენის კონსტრუქცია



იარუსის სავარძლები



ფოტოგრაფ ვასილ როინაშვილის შესახებ, რომელიც 1899 წელს ჩასულა სოფ. ქვემო მაჩხაანში ძეგლებისა და სიძველეების გადასაღებად. „რადგან ბ-ნ ვ. როინაშვილს განუზრახავს შემოიაროს საქართველოს კუთხეები და გადაიღოს ღირსსამახსოვრო ისტორიული ნანგრევები და ციხე-კოშკ ტაძარნი, ამ აზრით ვ. როინაშვილი ქვემო მაჩხაანის ინტელიგენციასთან ერთად იყო ჭოეთის სალა-ტინის, მაღალ-ციცაბო მთაში, სადაც გადაიღო ჯერ არავისგან გადაღებული, დიდად შესანიშნავი ციხეები თამარ მეფისა და სხვა ტაძარნი. ვ. როინაშვილი უხატავს უსასყიდლოდ მაჩხაანის სახალხო თეატრის სცენას მშვენიერს ფარდას ქიზიყის ცხოვრებიდან აღებული სუ-

– ამას გვაფიქრებინებს კარების და ფანჯრების განლაგება. სარკმლები იარუსზე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ბუნებრივ განათებასთან. ასეთი სურათია ქვემო მაჩხაანის თეატრის თანადროულ კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლშიც (თბილისი), რომელთანაც მსგავსება შინაარსობრივ დატვირთვასთან ერთად, არქიტექტურული თვალსაზრისითაც იკვეთება. კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლს თავდაპირველად ხელოვნური განათება არ ჰქონდა და ბუნებრივი შუქით ნათდებოდა, რის გამოც სპექტაკლები მხოლოდ დღის განმავლობაში იმართებოდა. მისი სწორკუთხა ფორმის 630 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი, ქვემო მაჩხაანის თეატრის მსგავსად, შედგებოდა პარტერის სართულისა და იარუსისგან. თუმცა ტევადობით ბევრად აღემატებოდა მას. ეს მცირე მოცულობის თეატრალურ სივრცეთა გადანაწილების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო.

ქვემო მაჩხაანის თეატრის მაყურებელთა დარბაზის ჭერი მოხატული იყო. დღევანდელი სახე მას სავარაუდოდ 1990-იან წლებში მიეცა (ხის გადახურვაზე დაკრულია პლასტმასის ყავისფერი შტამპური პანელები). შეცვლილია სცენის ხის იატაკი და აღარ არსებობს სუფლიორის „ბუტკა“.

სასცენო კოლოფში შემორჩენილია დეკორაციათა ცვლისთვის გამიზნული ხის ძველი კონსტრუქციები სპეცია-

ლური ლითონის სამაგრებით, რომლებიც დღესაც მოქმედია. სცენას ამშვენებს XX საუკუნის ორი ფარდა. ერთი ზაჰესში მდგომი ლენინის, მეორე – ტყის ფერწერული გამოსახულებით.

ზაჰესის ინდუსტრიული პეიზაჟის ფონზე, ცენტრში, მოცემულია საბჭოთა ბელადის – ვ. ლენინის ქანდაკება. სოციალისტური რეალიზმის სტილში შესრულებულ კომპოზიციას (ტილო, ზეთი) უკანა მხრიდან ბეჭდურად მინანერი აქვს რუსულ ენაზე: Д. Нагенов Художн. ДЕКОРАТОР Тифл. ქვემოთ ხელით შესრულებული წარწერით: Театр Руставели УЛ. КАШЕНА №3 (დღ. აბო თბილელის ქუჩა თბილისში).

ფარდა, რომელზეც ზაჰესია გამოსახული შესრულებული უნდა იყოს არა უადრეს XX საუკუნის 30-იან წლებში. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც 1927 წელს დაიდგა კომუნისტური იდეოლოგიის ბელადის ვ.ლენინის ქანდაკება (მოქანდაკე ი. შადრი. ქანდაკება დღეს აღარ არსებობს). სახელწოდება თბილისი კი, ნაცვლად ტიფლისისა, როგორც ფარდის მინანერშია, ოფიციალურად შემოვიდა 1936 წელს. რეალისტურ მანერაშია შესრულებული მეორე ფარდა, პერსპექტივაში გადმოცემული ტყის პეიზაჟით, რაც ილუზორულად ზრდის სცენის სიღრმის შთაბეჭდილებას.

თეატრის ფარდასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნებულია პრესაში. მასში საუბარია



რათებით. სულით და გულით ვისურვებთ რომ ან განსვენებულ ა.ს. როინაშვილის აღზრდილს ვ. როინაშვილს ასცხადებოდეს ყველა ის კეთილი განზრახვა რომელნიც ჩვენ მოვისმინეთ მისგან“.⁵

როგორც ირკვევა, ვასილ როინაშვილი ქვემო მაჩხაანში ჩასულა ივლისის მეორე ნახევარში, როცა თეატრის შენობა უკვე დასრულებულია. მისი გახსნა 1899 წლის 25 ივლისს შედგა. ტექსტში ჩანს, რომ როინაშვილი დაპირდა თეატრის ფარდის მოხატვას, სიუჟეტიც განსაზღვრულია – ქიზიყის ყოფა. შეასრულა თუ არა დანაპირები

არ ვიცით. დღეს არსებული ფარდები, ტყის პეიზაჟისა და ზაჰესის კომპლექსის გამოსახულებებით, როგორც ვნახეთ, გვიანდელია.

სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრში მბრუნავი სცენის არსებობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ზეპირი ხასიათისაა (ასევე, მოგვიანებით მისი თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში გადატანის შესახებ). თეატრში მბრუნავი სცენის არსებობას ადასტურებს 1960-იან წლებში ქვემო მაჩხაანის კლუბის ხელმძღვანელი ბესარიონ მოსულიშვილი. ამჟამად სცენის იატაკი გამოცვლილია.

თავად მბრუნავი კონსტრუქციით აღჭურვილი სცენა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლე იყო იმდროისათვის. იგი შესვენებების გარეშე, დეკორაციების სწრაფად შეცვლის და ანტრაქტების შემცირების საშუალებას იძლეოდა. საინტერესოა, რომ რუსთაველის თეატრის შესახებ „ერთ-ერთი საგაზეთო სტატიის ავტორი აცხადებდა, რომ „რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მთელს რუსეთში დღემდე ასეთი სცენით მხოლოდ ერთი თეატრი არსებობს – ეს არის მოსკოვის მცირე თეატრი ე.ი. ჩვენი... თეატრი ამ მხრივ რიგით მეორე იქნება“⁶

5. გაზ. „ივერია“, 1899 წ, №154.

6. მ. მირიანაშვილი, ქ. მუშკუდიანი, რუსთაველის თეატრის შენობა, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1987 წ, №3, გვ. 65.



მბრუნავი სცენის ისტორია კი სულ რამდენიმე წელს ითვლიდა. იგი ცნობილმა თეატრალურმა მექანიკოსმა კარლ ლაუტენშლეგერმა გამოიგონა და პირველად 1896 წელს მიუნჰენის რეზიდენც-თეატრში გამოიყენა. რუსეთში მცირე თეატრის გარდა, მბრუნავი სცენა სამხატვრო თეატრშიც იყო. სულ რაღაც ორ წელიწადში მას თბილისში, „არტიტული საზოგადოების“ ანუ რუსთაველის თეატრში აკეთებენ (1898-1901 წწ.). მბრუნავი სცენა აქვს ამავე პერიოდში აგებულ სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრსაც, რითაც ის დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის გვერდით დგას და უფრო ფართო კონტექსტში კი იმ ერთეულ თეატრებს შორის ევროპის მასშტაბით, სადაც უახლესი ტექნოლოგიები გამოყენებული. ცხადია, მაჩხაანის თეატრის ავტორი სათეატრო არქიტექტურის სპეციფიკას გაცნობილი არქიტექტორია. ყოველივე ეს კი ქვემო მაჩხაანის თეატრის ისტორიისადმი დიდ ინტერესს გვიჩვენს. XIX საუკუნის პრესა ამ მხრივ მდიდარ მასალას გვანდის. მასში ნათლად იკვეთება თეატრის მშენებლობის წინაპირობები. სხვადასხვა

ქართულ გაზეთში, მათ შორის „ივერიაში“ ინტენსიურად ქვეყნდება ცნობები სოფელში (სკოლის შენობაში, მის მიმდებარედ), საქველმოქმედო მიზნით სცენის მოყვარეთა მიერ სპექტაკლების გამართვის შესახებ (1887 წ. №142; 1888 წ. №138). ასეთი წარმოდგენები ქვემო მაჩხაანის სასკოლო სახლში 1887 წლიდან ტარდება.

თეატრის შენობის საკითხი ამ დროს ჯერ არ დგას, მაგრამ თეატრისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. გაზეთში „ივერია“ (1887 წ. №142) რუბრიკაში – დაბა და სოფელი – საუბარია სოფ. ქვემო მაჩხაანის სასკოლო სახლში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაზე, რომელზეც მოსწავლეები და უპოვარი გლეხები უფასოდ შეუშვიათ... წარმოდგენის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა დ. მაჩხანელმა: „ყოველგვარ ცოდნას თავისი ტაძარი აქვს, ამათში ერთს სკოლა ჰქვიან და მეორეს თეატრი... დიად, სკოლა და თეატრი ძმები არიან კეთილ საქმეში, იმისთვის, რომ თეატრიც ჭკუა-გონებას ასწავლის

ადამიანს“ – ასე იაზრებდა თეატრის მნიშვნელოვნებას და როლს იმდროინდელი ქართული საზოგადოება. 1891 წელს ქვემო მაჩხაანის „...სკოლის დარბაზში ქართული წარმოდგენა გამართეს სატექნიკო სასწავლებლის ერთის შეუძლო შეგირდის სასარგებლოდ... ამ ზაფხულში ჩვენს სოფელში ეს მესამედ იმართება ქართული წარმოდგენა...“⁷

ამ ფონზე უკვე ლოგიკურად მივიჩნევთ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას თეატრის მშენებლობის შესახებ (გაზეთი „ივერია“, 1891 წ. №148) დეტალიზაციით: სოფლის ცენტრში, ეკლესიის გვერდით, ბიბლიოთეკით. თეატრში ყოველ კვირას გაიმართება წარმოდგენები, სახალხო ლექციები, კონცერტები. იწყება ფულის შეგროვების კამპანია. „...მომავალი სათეატრო დარბაზისთვის, რომელიც უნდა აშენდეს ფიცრისა, შუა სოფელში, ეკლესიის მინდორზედ, თუკი ქიზიყის საზოგადოებაც ხელს მოგვიმართავს ნივთიერად და სახალხო დეპო გველირსება ამ ერთს წელიწადში, რომ დეპომაც შემწეობა აღმოგვიჩინოს. თეატრის დარბაზში თუკი გველირსება



საქართველოს სიმფონიეტას კონცერტი ქვემო მაჩხაანის თეატრში

7. გაზ. „ივერია“, 1891 წ. №174.

ოდესმე, მუდამ კვირა-უქმე დღეს იქნება სახალხო ლექციები, წარმოდგენები და კონცერტები. თეატრის დარბაზშივე იქნება გადმოტანილი წიგნთსაცავიც. გარდა შეუძლებელისა შეუძლებელი არა არის-რა ქვეყანაზედ: სკოლა გვაქვს, წიგნთ-საცავი გვაქვს და თუ ვეცდებით, უეჭველია, სახალხო დეპო და თეატრის დარბაზიც გვექნება.“

თეატრის მშენებლობისთვის საჭირო თანხების შესაგროვებლად ტარდება სპექტაკლები. „გაიმართა წარმოდგენა ქვემო მაჩხაანის სათეატრო დარბაზის ფონდისათვის. ღარიბი მდაბიო ხალხი უფასოდ იყო მოწვეული. ქვემო მაჩხაანის ახალგაზრდობა კიდევ ახერხებს ამ მოკლე ხნისათვის წარმოდგენას ამავე საქმის სასარგებლოდ და იმედიც არის, მრავალი ხალხი დაესწრება გარშემორტყმულ სოფლებიდან...“⁸

ქვემო მაჩხაანის თეატრისთვის თანხა წლების განმავლობაში გროვდებოდა 1891 წლიდან ვიდრე მის გახსნამდე – 1899 წლამდე. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ინფორმაცია არქიტექტორზე და თეატრის პროექტირებისთვის გამოცხადებულ კონკურსზე, რაც გავრცელებული პრაქტიკა იყო. თბილისის თეატრების უმეტესობა სწორედ ასე გამოცხადებულ არქიტექტურულ კონკურსებში გამარჯვებული პროექტებით აშენდა. სამწუხაროდ, ხელთ არც მაჩხაანის თეატრის პროექტი გვაქვს. აღნიშნული საკითხი სამომავლო კვლევის საგანია. ერთი კი ცხადია, რომ ქვემო მაჩხაანის თეატრი სათეატრო არქიტექტურის სპეციფიკაში გარკვეული მისი კარგად მცოდნე არქიტექტორის მიერაა დაპროექტებული.

ამგვარად, 1899 წლის 25 ივლისს სოფ. ქვემო მაჩხაანში გაიხსნა თეატრი. პირველი სპექტაკლი იყო ავქსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმა“, რომელშიც მონაწილეობდნენ იმდროინდელი ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია. იმდენად დიდი იყო ამ მოვლენის მნიშვნელობა, რომ გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გაზეთ „ივერიის“ თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ინფორმაცია მაჩხაანის თეატრის შესახებ:



სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის ინტერიერი

„17 ივლისს ქვემო მაჩხაანის ახალ თეატრში თავად ნ. ერისთავის თაოსნობით, წარმოდგენის გამართვას აპირებენ. მოწვეულები არიან ცნობილი არტისტები ვ. აბაშიძე და ნ. გაბუნია ცაგარელისა. უნდა ითამაშონ ავქსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმა“.“⁹

„კვირას, 18 ივლისს, ჩემის წინადადებით მოხდა სოფელ ქვემო მაჩხაანში კრება მეცხვარეების და საზოგადოდ ცხვრის პატრონებისა. კრებაზედ დაესწრნენ მაზრის უფროსი ბ. კ. ზ. შანშიევი, მაჩხაანის ახლად მოწვეული მკურნალი ა. ნ. თ. დიასამიძე, მაჩხაანის ბოქაული თ. ნ. დ. ერისთავი, დ. მ. ნადირაძე, დეპოს მოსამსახურე, ქიზიყის სამღვდელი, აზნაურობა, თითქმის ყველა სოფლის მამასახლისები, ცხვრის პატრონები და მრავალი სხვა ხალხი. აქვე დაესწრო ტფილისიდან ჩამოსული, მაჩხაანში სცენის გასამართად არტისტი ვ. ა. აბაშიძე. საზოგადო რიცხვი დამსწრეთა აღემატებოდა 300 კაცს. გული სიხარულით აღმევსო, როდესაც დავინახე უზარმაზარი, ახლად გამართული თ. ნ. დ. ერისთავის ხარჯით და თაოსნობით, სათეატრო აივან-ზალა მთლად გაჭედილი, აქ მოგროვილი ხალხით“.¹⁰

„ს. ქვემო მაჩხაანი. ქიზიყის ესტუმრენენ ქ-ნი ნატალია გაბუნია-ცაგარე-

ლისა და ბ-ნი ვასილ აბაშიძე, რომელნიც დიდის აღტაცებით და პატივით მიიღეს ყველგან ქიზიყელებმა. 25-ს ივლისს წარმოადგინეს ქვემო მაჩხაანის თეატრის ახალ შენობაში „ხანუმა“ ა. ცაგარელისა, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით. წარმოდგენას ქიზიყის რჩეული საზოგადოება და დიდძალი მდაბიო ხალხი დაესწრო (ღარიბნი უფასოდ). გამოჩნდნენ თუ არა სცენაზედ ძვირფასი სტუმარნი-მსახიობნი, ხანგრძლივი ტაშის ცემით და „ვაშა-გაუმარჯოს“ გრგვინვით დააჯილდოეს და საჩუქრები მიართვეს, სცენის მოყვარეთაც მოსალოდნელზედ უფრო რიგიანად ითამაშეს და მეტადრე ქალმა საშა მენტეშაშვილმა, რომელმაც პირველად, მაგრამ ნიჭიერად ითამაშა როლი.

წარმოდგენიდან შემოვიდა ოც თუმნამდის, რომელმაც უნდა გაისტუმროს თეატრისათვის ახლად აგებული შენობის ვალი. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, ვინც წარმოდგენასა და წარმოდგენის სამზადისში მონაწილეობა მიიღო და განსაკუთრებით მაჩხაანის ბოქაული თ. ნ. დ. ერისთავი სახლობითურთ.

მაჩხაანის ინტელიგენცია აპირებს მოათავსოს წიგნთა საცავი და სამკითხველო ახლად აშენებულ თეატრის

8. გაზ. „ივერია“, 1892 წ, №42.
9. გაზ. „ივერია“, 1899 წ, №146.
10. გაზ. „ივერია“, 1899 წ, №158.

დარბაზში, სადაც კვირა უქმე დღეებში წაუკითხავენ ხალხს ხალხური ენით დაწერილ ლექციებს ზნეობრივს, სასოფლო მეურნეობასა და სამკურნალოს.¹¹ ამ წერილის ავტორი, ყველგანმყოფის ფსევდონიმით, მწერალი და, პუბლიცისტი დიმიტრი ნადირაძე იგივე დიმიტრი მაჩხაანელია, რომელიც არა მხოლოდ გულშემატკივრობდა თეატრის მშენებლობის იდეას ქვემო მაჩხაანში, არამედ იყო ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორი.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე, მომავალი თეატრის კონცეფციაში უკვე მოიაზრებოდა ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობა და ა.შ. სათეატრო შენობის მრავალფუნქციურობის ეს ტენდენცია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება ევროპაში და შესაძლოა იმ დროის ერთ-ერთ მახასიათებლად იქონიოს – ეს სახალხო თეატრის იდეაა. საუკუნის მიწურულს იგი საქართველოშიც იკიდებს ფეხს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში.

ზოგადად, წარმატებული და მრავალმხრივი იყო სახალხო თეატრების საქმიანობა. წარმოდგენების გამართვის პარალელურად, ატარებდნენ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოებს, კონცერტებს, გამოფენებს, ლექციებს, საზოგადოებრივ გასართობებს და ყოველივე ეს ეწყობოდა სპეციალურად ამ მიზნით აგებულ „სახალხო“ თეატრებში. XIX საუკუნის ბოლოსთვის მარტო ბერლინში სამი ასეთი სახალხო თეატრია. იმავე ფუნქციის მატარებელი იყო „Toynbee Hall“-ი, ასევე, 1897 წელს გახსნილი ცნობილი „სახალხო სასახლე“ ლონდონში, „Universite-populare“ პარიზში; 1870 წელს ოდესაში გახსნილი სახალხო თეატრი, რომელმაც თავიდანვე აიღო ორიენტაცია „იაფი სპექტაკლების“ გამართვაზე; მოსკოვის სახალხო თეატრი, რომელსაც აფასებდნენ როგორც პუბლიკაზე ზნეობრივად გამაკეთილშობილებელი ზემოქმედების მქონეს.

ამ დაწესებულებათა მთავარი ამოცანა იყო ცოდნის გავრცელება ხალხის ფართო მასებში. „მისი ზნეობის შერბილება, შესაძლებლობის მიცემა აზრიანად და ინტელიგენტურად გაატარონ დრო, დაისვენონ შრომისაგან და გაერთონ. ხელმისაწვდომი თეატრალური წარმოდგენების, მუსიკალური საღამოებისა და უამრავი სხვა გასართობების გვერდით აქ გამუდმებულად ეწყობა პოპულარული ლექციები ისტორიაში, მედიცინაში, იურიდიულ მეცნიერებებში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში ლიტერატურაში და ა.შ. ლექციების გარდა მიმდინარეობს ახალი ენების, მუსიკის, სიმღერის, ბუღალტერიის, სხვადასხვა ხელოვნებისა და ხელოვნების შესწავლა. ინერენ ნიგნებსა და ჟურნალებს, არსებობს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. ეწყობა პერიოდული გამოფენები, ფუნქციონირებს ტანმოვარჯიშეთა დარბაზები, ფიზიკური ლაბორატორია, უპოვარი ბავშვებისათვის არსებობს, ასევე, დაწყებითი სკოლა და საბავშვო ბაღი, კარგად აღჭურვილი სახელოსნოები ღარიბი ხელოსნებისათვის, სამუშაო ადგილის მოსაძებნი ბიურო, სამკურნალო განყოფილება, აფთიაქი, ფერწერისა და ქანდაკების მუზეუმი, იაფი რესტორანი. თეატრებთან არსებულ პარკებში მოწყობილია ღია სცენები, თოჯინების თეატრი და სხვ. თეატრსა და პარკში შესასვლელი ხშირად სრულიად უფასოა...“¹²

1901-1909 წლებში კონსტანტინე ზუბალაშვილის ვაჟებმა, პეტრემ, ლევანმა და იაკობმა თავიანთი ხარჯით ააშენეს სახალხო სახლი თბილისში და საჩუქრად გადასცეს დედაქალაქს – **კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი** (დღეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც თეატრთან ერთად მოიცავდა სალექციო დარბაზს, ნიგნთსაცავსა და სამკითხველოს. იგი მალე იქცა თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად, სადაც წარმოდგენები (დრამატული, საოპერო) 12 ენაზე იდ-

გმებოდა. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრიც სახალხო სახლის კონცეფციითაა აგებული, თუმცა როგორც იაზრებოდა თეატრის გეგმარებაში სხვადასხვა ფუნქციის მოცულობები, ამაზე მსჯელობა დღეს რთულია.

გასათვალისწინებელია, რომ ქვემო მაჩხაანის თეატრი, რომლის მშენებლობა 1899 წელს დასრულდა, ქრონოლოგიურად საზაფხულო (1870-1906 წწ.) და სათავადაზნაურო ბანკის (1878 -1914 წწ.) თეატრების თანადროულია, ამ პერიოდში თბილისში უკვე ფუნქციონირებს ოპერის თეატრი – 1880-1896 წწ., ახალი დაწყებულია რუსთაველის თეატრის (1898-1901 წწ.) მშენებლობა, სულ რაღაც 2 წელიწადში კი საფუძველი ჩაეყრება მარჯანიშვილის თეატრს (1902-1907 წწ.). ამ ნაგებობებიდან მოქმედია – ოპერის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები, მაგრამ არცერთი პირვანდელი სახით, აღარაფერს ვამბობთ სათეატრო ინვენტარზე, რომელიც უმეტესწილად არ შემორჩენილა – ხანძრის შედეგად განადგურდა ოპერისა და რუსთაველის თეატრები, მრავალგზის რეკონსტრუქცია განიცადა მარჯანიშვილის თეატრმა და აი, ამ ფონზე თავდაპირველი სახით სოფ. ქვემო მაჩხაანში შემორჩენილი თეატრი – ავთენტური ინტერიერით, ავეჯით, სასცენო კონსტრუქციებით, იარუსის სავარძლებითა და სკამებით – სრულიად განსაკუთრებული მოვლენა და მუზეუმისთვის საუკეთესო სივრცეა. 2014 წლიდან თეატრში დროდადრო იმართება წარმოდგენები. კლასიკური მუსიკის კონცერტები, აქცია-პერფორმანსები. ასე, რომ „ცოცხალი“ მუზეუმის შექმნისთვის ნაბიჯები უკვე გადადგმულია...

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2017 წელს გეგმავს სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის რეაბილიტაციის პროექტის მომზადებას და გამოდის მისი მუზეუმად დაფუძნების ინიციატივით.

11. გაზ. „ივერია“, 1899 წ, №162.

12. Городской народный дом им. К.Я. Зубалова, Тифлиси., Типография К.П. Козловского, 1913 г, стр. 11-12.

SUMMARY

THEATRE-MUSEUM: THE KVEMO-MACHKHAANI VILLAGE THEATER

IRMA DOLIDZE

One of the oldest and best-preserved theater buildings of Georgia is a two-story brick structure located in the Kvemo Machkhaani village in the Signaghi Municipality, Kakheti. The theater was completed in 1899 and the opening performance was given on July 25 of that year, the "Khanuma" comedy by Avksenti Tsagareli.

The theater was built through the efforts and financial support of the local population. The construction contains a stage-box and a rectangular tiered hall with 300 seats, and includes the original furniture, stage construction, orchestra pit, heaters and theatre curtains. Thus the significance of this theatre as a monument of cultural heritage goes beyond only one village or region. It has a distinguished place in Georgian cultural life, and is the reason for creating a theatre-museum in this village. There is no other museum or theatre in Georgia that provides such an ideal context for understanding and visualizing this important era of Georgian cultural life. Soon it will allow us to enjoy modern performances, as well as old plays.

The concept of a theatre-museum, first of all, permits us to study and restore a monument of cultural heritage and return it to its original function. Since opening in 1899, the building has had different functions: it was a theatre, a club, a cinema and even a shelter for soldiers during World War II. Today it is the village's House of Culture. This is why this unique building needs to be returned to the theatrical function it once had, to restore old theatre pieces, show experimental plays, present action performances using both former and modern technologies, as well as to exhibit and interpret materials of theatrical history in Georgia.

The 300-seat theatre hall is made up of 200 in parterre and 100 seats in tiered stalls. The

wooden chairs are as old as the building, made in the style of the day and in good condition. Parterre boxes are situated on both sides of the orchestra pit. According to the location of the doors and windows, it appears that the tiered-stall level was renovated from the time that windows were used to allow in natural light. There is a picture showing this in K. Zubalashvili Municipal People's House (now called the Marjanishvili Theatre), which was built during the same period. The two buildings have similar interiors as well as architectural forms. In the beginning, the K. Zubalashvili Municipal People's House didn't have artificial lighting and used daylight from its windows, meaning that performances were held only during daylight hours. The rectangular 630-seat hall also had a parterre and tiered stalls similar to the Kvemo Machkhaani theatre. Although there were many more seats in the Tbilisi theater, the layout was similar for theatres with less space.

Information about the existence of a revolving stage in the Kvemo Machkhaani Theater has been passed down orally. There is also a story about its being removed and transferred to Tbilisi's Marjanishvili Theatre. Besarion Mosulishvili, Manager of the Kvemo Machkhaani Club, confirms the existence of a revolving stage in a theatre in 1960s. Stages with a revolving construction were important technological innovations as they permitted rapid changes in backdrops and scenes and reduced waiting time during interacts. However, today the stage floor has been replaced.

Revolving stages had already been used for a few years by the time Kvemo Machkhaani was built. They were invented by Karl Autenschlager, a famous theatre mechanic, and first introduced at the Residence Theatre in Munich in 1896. In Russia, revolving stages were found in the Small Theatre and the Art Theatre. Only two years later, in 1898-1901 this type of stage was installed in Tbilisi's Rustaveli

Theatre (formerly the Theatre of the "Artistic Community"). The Kvemo Machkhaani theatre was built during the same period and most likely had a revolving stage as well. It thus stands equal with one of the best theatres in the country and was included in the list of a small number of theatres throughout Europe where modern technologies were used.

The Kvemo Machkhaani Theatre was designed by an architect who had specialist knowledge of theatre architecture. The construction was completed in 1899, chronologically the same period as the Tbilisi Summer Theatre (1870-1906) and the Tbilisi Royal Bank Theatre (1878-1914). This is an epoch when the Treasury Opera Theatre (1880-1896) was already functioning in Tbilisi and when the construction of the Rustaveli Theatre had begun. Just two years later, the Marjanishvili Theatre construction began, and lasted from 1902 to 1907. Of these buildings, only the Tbilisi Opera House and the Rustaveli and Marjanishvili Theatres function today, although not in their original form. Much of the theatrical inventory did not survive. For example fires destroyed the Opera House and Rustaveli Theatre, while the Marjanishvili Theatre was repeatedly renovated. Considering this, the fact that the Kvemo Machkhaani village theatre has preserved its original form and décor, authentic interior, furniture, stage constructions, tiered stalls and chairs, it is an ideal choice for creating a museum. The theatre building already has the status of monument of cultural heritage. Since 2014 theater performances, classical music concerts and action performances have been held, so the first steps have been taken to create a living museum.

The National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia is planning the rehabilitation of the Kvemo Machkhaani village theatre and museum for 2017.